ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1914894

ნომერი: AR1307362

თარიღი : 08.05.2015

გაცემის თარიღი : 27.05.2015

გაცნობის თარიღი : 27.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შატილი , N 30-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატილი , N 30-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N23) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარი ხავთასი პ/ნ 01013011059
- ვარკეთილი3 4მ/რ კორ403. ბონა3.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814763 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 5 მაისს N AR1307362 განცხადებით მომართეს შპს „ეიმ ბილდინგ გრუპ“–ის დირექტორმა მამუკა ხავთასმა და ოთარი ხავთასმა, რომლებმაც მოითხოვეს სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814763 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814763 გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი კვების ობიექტის აშენების მიზნით, ქ. თბილისში, შატილის ქ. N 30-ის მიმდებარედ (ს/კ 01.12.03.003.050) დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მოგვიანებით, აღნიშნულ აქტში ცვლილება შევიდა სამსახურის 08.10.2014 წლის N1529963 ბრძანებით და შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი (საკადასტრო ერთეული N01.12.03.003.061, ფართობი-355 კვ.მ.). აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სამსახურის მიერ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ განხორციელებულა.
დღესდღეობით, განმცხადებლები ითხოვენ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814763 ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი არ გააჩნიათ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს“. “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, „ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა“.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან მესაკუთრეს არ გააჩნია სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814763 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოს გამოყენების პირობები, აგრეთვე, 2014 წლის 8 ოქტომბრის N1529963 ბრძანება, რომლითაც ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში,
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს მამუკა ხავთასის და ოთარი ხავთასის 2015 წლის 5 მაისს N AR1307362 ერთობლივი განცხადება.
2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 31 ივლისის №814763 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოს გამოყენების პირობები და 2014 წლის 8 ოქტომბრის N1529963 ბრძანება.
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.